

შპს ჯორჯიან ბაზალტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	31/12/2021	31/12/2020
მარაგები	709,897	888,914
სავაჭრო მოთხოვნები	292,788	289,625
გადახდილი ავანსები	17,438	16,446
გაცემული სესხები	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	128,049	62,108
არამატერიალური აქტივები	17,494	20,686
ძირითადი საშუალებები	1,960,879	2,465,806
სულ აქტივები	3,126,546	3,743,586
კაპიტალი	2,913,420	3,563,420
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	117,788	112,110
სულ კაპიტალი	3,031,208	3,675,529
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	95,338	50,008
საგადასახადო ვალდებულებები	-	18,049
სულ ვალდებულებები	95,338	68,057
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3,126,546	3,743,586

შპს ჯორჯიან ბაზალტი
მოგება - ზარალის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,983,700	2,201,577
რეალიზაციის თვითღირებულება	(1,855,355)	(1,557,049)
საერთო მოგება/(ზარალი)	1,128,345	644,528
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	(775,168)	(479,287)
სხვა საოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)	(8,078)	(80,417)
სულ საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	345,099	84,824
ფინანსური შემოსავალი	5,290	31,374
ფინანსური ხარჯი	(4,710)	(7,497)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	345,679	108,701
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	345,679	108,701

შპს ჯორჯიან ბაზალტი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

1 იანვარი, 2020

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	4,855,812
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში/დაუფარავ ზარალში	(1,180,283)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,675,529
31 დეკემბერი, 2020	0
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	3,675,529
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში/დაუფარავ ზარალში	(644,321)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,031,208
31 დეკემბერი, 2021	0

შპს ჯორჯიან ბაზალტი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2021

	2021	2020
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,604,606	2,713,991
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(2,015,897)	(1,578,126)
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(529,050)	(457,667)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,059,659	678,198
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(7,046)	-
კაპიტალის შემცირება		(1,048,000)
სხვა	-	-
სესხების გაცემა	-	-
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-
მიღებული პროცენტი	3,329	8,269
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,717)	(1,039,731)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(990,000)	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტში	65,942	(361,533)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	62,108	423,641
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	128,050	62,108

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს ჯორჯიან ბაზალტი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: ინერტული მასალების მოპოვება და გადამამუშავება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ათას ლარში).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი. ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო

და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

თვითღირებულება (‘000 ლარი)	ძირითადი საშუალებები
1 იანვარი, 2021	4,035
31 დეკემბერი, 2021	3,845
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2021	(1,569)
31 დეკემბერი, 2021	(1,884)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2021	2,466
31 დეკემბერი, 2021	1,961

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ არსებული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.


4. სხვა მოკლევადიანი აქტივები:


სხვა მოკლევადიანი აქტივები მოიცავს მოთხოვნებს მშობელი კომპანიების მიმართ.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

26 სექტემბერი, 2022


ხელმოწერა
დავით ჭიჭაშვილი
დირექტორი


ხელმოწერა
ნ. ხოშტავა
მთავარი ბუღალტერი